იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 10 (194)

მაისი,


1968 წელი



დიდების ძეგლი ქ. ფოთში.

დედა-სამშობლოს ამბები

ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მშრომელებს დიდ დახმარებას უწევს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. წელს 2.800 ტონიდან 1.800 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს „საქართველო“ მოკრეფს. სურათზე: „საქართველო“ პლანტაციებში.



ხილი ქართული

ხილის უხვი მოსავლით განთქმულია გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის ბაღები. განსაკუთრებით კარგია აქაური ვაშლი. გემრიელი, არომატული ბელფლერი, ბანანი, ქართული სინაპი, კეხურა. 100 ცენტნერზე მეტი ნაყოფი მიიღო მეურნეობამ თითოეულ ჰექტარზე. კოლმეურნეობაში ნარგავების და ნიადაგის მოვლის ყველა სამუშაო, აგრეთვე ბაღების გაშენება მექანიზებულია. წარმატებით იყენებენ მუშაობის პროგრესულ მეთოდებს, რომლებიც გადმოიღეს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სკრის საცდელი სადგურის თანამშრომლებისაგან.

ხილის დიდ მოსავალს იღებს რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. აი უკვე რამდენიმე წელია ზედიზედ კარალეთის საბჭოთა მეურნეობას თითოეულ ჰექტარზე მოჰყავს 80 ცენტნერამდე ხილი. დაგეგმილზე ერთნახევარჯერ-ორჯერ მეტ ვაშლის მოსავალს იღებენ გორის რაიონის სოფელ ნიჭოზის კოლმეურნეობის, ახალციხის რაიონის დაბა ვალეს კოლმეურნეობის, ვარიანის საბჭოთა მეურნეობის, კასპის რაიონის სოფელ დვანის კოლმეურნეობის და მთელ რიგ სხვა მეურნეობათა მებაღეები.

წელს საქართველოს მებაღეებმა გადაწყვიტეს მოიწიონ 259 ათასი ტონა ხილი. ამასთან ერთად ისინი აშენებენ ახალ ხეხილის ბაღებს. ხუთწლედის დამლევისათვის მათი ფართობი მიაღწევს 150 ათას ჰექტარს — 20 ათასი ჰექტარით მეტს, ვიდრე იყო 1966 წლის დამდეგს. ახალი ბაღების 70-80 პროცენტში დაირგვება თესლოვანი ხილი, დიდ ფართობს დაიკავებს კაკალი.

სამტრედიიდან — საზღვარგარეთ

ორი ათას ტონა ჩაის შეისყიდის წელს საქართველოში ბელგიის ფირმა „გლობუსი“. პირველი პარტია — ქართველი ტიტასტერების რეცეპტით დაკუპაჭებული — 360 ტონა ჩაი უკვე გაეგზავნა სამტრედიიდან შემკვეთს.

ჩაის ექსპორტის გეოგრაფია განუწყვეტლივ ფართოვდება. წლის დამდეგიდან ამ პროდუქტის მიწოდების ხელშეკრულება დადო ათმა ქვეყანამ. მათ შორის არიან საბჭოთა ჩაის დიდი ხნის მომხმარებლებიც — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, მონღოლეთი, ინგლისი და ქვეყნები, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ დააფასეს ქართული ჩაის ხარისხი, — ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ჩაის არაერთგზის მიუღია მაღალი შეფასება საერთაშორისო დეგუსტაციებზე. ტიტასტერები ერთსულოვნად აღნიშნავენ უმაღლესი და პირველი ხარისხების შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის თავისებურ ფერს, ნაყენსა და არომატს. ისინი ხშირად ქართულ ჩაის ცეილონის და ინდოეთის ჩაიზე მაღლა აყენებდნენ.

წელს საქართველოს ჩაის ტრესტის საწარმოები საზღვარგარეთელ შემკვეთებს გაუგზავნიან უმაღლესი და პირველი ხარისხის ხუთი ათას ტონაზე მეტ პროდუქციას.

სამტრედიის ჩაის საწნეხი ფაბრიკა ერთ-ერთი საწარმოა, რომელიც სახელს უხვევს ქართულ ჩაის საერთაშორისო ბაზარზე.

— დიდ ყურადღებას ვაქცევთ საექსპორტო პროდუქციას, — ამბობს სამტრედიის ჩაის საწნეხი ფაბრიკის დირექტორი ი. ოდილავაძე. — საზღვარგარეთ ვგზავნით არა ფილებს, არამედ ჩაის სავაჭრო ნარევს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. კუპაჟი შეიმუშავეს ჩვენი ფაბრიკის ტიტასტერებმა და შესთავაზეს საზღვარგარეთელ სპეციალისტებს, რომლებმაც იგი მოიწონეს.

შრომის გვარდიელები

მამაცურად იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ტექნიკოს-ლეიტენანტი ალექსანდრე ჩორგოლაშვილი, რომელსაც მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები დავალებათა ჩინებულად შესრულებისათვის.

ხოლო როცა მიყუჩდა ომის უკანასკნელი ზალპები, ა. ჩორგოლაშვილი შინ დაბრუნდა. გულთბილად შეხვდნენ გამარჯვებულ მებრძოლს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, საიდანაც იგი ფრონტზე წავიდა. ალექსანდრე ენერგიულად შეუდგა მუშაობას. ბევრი რამ შეიცვალა ქარხანაში ამ წლების მანძილზე: ახალმა დიდმწარმოებლურმა ჩარხებმა და აგრეგატებმა შეცვალეს ძველი მოწყობილობა. ა. ჩორგოლაშვილი არა მარტო სრულყოფილად დაეუფლა ჭიდვისა და ვაგონების შეკეთების რთულ პროცესებს, არამედ დაუსწრებლად უმაღლესი ტექნიკური განათლებაც მიიღო.

რესპუბლიკის უძველეს საწარმოში ჩინებულად შრომობენ აგრეთვე საბრძოლო ორდენებისა და მედლების კავალრები ი. ლეკელიძე, ი. ხაჩიძე, ნ. გნედილი და ბევრი სხვა დემობილიზებული მეომარი.

ორსართულიანი...

ბათუმი. ბათუმის მცხოვრებლებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა საკოლმეურნეო დახურული ბაზრის ორსართულიანი შენობა, სადაც 750 სავაჭრო ადგილია. იგი აგებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

შენობის კონსტრუქცია მთლიანად ასაწყობია, რკინაბეტონისაა, ხოლო არქიტექტურა — თანამედროვე, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთის კლიმატური პირობების თავისებურებებს.

ბათუმის საკოლმეურნეო დახურული ბაზარი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში. მისი პროექტი შეადგინა საქართველოს სსრ დამსახურებულმა ინჟინერმა ნ. აბაშიძემ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის ნ. ჭყონიას და არქიტექტორ ო. პასკოს მონაწილეობით.

საკოლმეურნეო ბაზრის შენობა ააგეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საერთო მშენებლობის ტრესტის მუშაკებმა.

საქართველო

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ქართველი ხალხის მიღწევებს მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში მრავალი ისტორიული წყარო და ძეგლი ადასტურებს. უძველესი დროიდანვე საქართველოში დიდი საგანმანათლებლო მუშაობა წარმოებდა. შუა საუკუნეებში საუნივერსიტეტო განათლების კერებს ე. წ. აკადემიები წარმოადგენდნენ. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი იყალთოსა და გელათის აკადემიებმა, სადაც აღიზარდა ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და მწერალი.

მონღოლების, თურქების და სხვა მოძალადე ტომების გამუდმებულმა შემოსევებმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლა დიდი ხნით შეაფერხა. ქართველმა ხალხმა თავგანწირული ბრძოლებით უკუაგდო უცხოელ დამპყრობთა განზრახვა — მოესპოთ ქართველი ერი და ხელთ ეგდოთ ჩვენი ქვეყანა. ქართველმა ხალხმა საკუთარი სისხლის ფასად შეინარჩუნა ეროვნული დამოუკიდებლობა, მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურა...

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ილია ჭავჭავაძემ და მის გარშემო შემოკრებილმა პროგრესულ მოღვაწეთა ჯგუფმა დასვა საკითხი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმის პირობებში ამ დიდი საქმის განხორციელება ძალიან ძნელი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით მოსახლეობაში შეგროვდა თანხა უნივერსიტეტის მშენებლობისათვის. შენობა ფორმალურად გაფორმდა როგორც თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის განკუთვნილი ნაგებობა, თუმცა ქართველი საზოგადოება და მშენებელი არქიტექტორი **ს. კლდიაშვილი** ვარაუდობდნენ, რომ სწორედ ეს იქნებოდა ქართული უნივერსიტეტის სათავე.

მშენებლობა 1903 წელს დამთავრდა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, სანამ შესაძლებელი გახდებოდა უმაღლესი განათლების კერის დაარსება.

უნივერსიტეტის გახსნა

1918 წლის 26 იანვარს ქართველმა საზოგადოებრიობამ იდღესასწაულა ისტორიუ-

მეცნიერების დიდი კერა

ლი თარიღი — ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, რომლის ორგანიზატორი იყო დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. სწორედ მან მოუყარა თავი რუსეთის უნივერსიტეტში მომუშავე ქართველ მეცნიერებს პეტრე მელიქიშვილს, ანდრია ბენაშვილს, კორნელი კეკელიძეს, გიორგი ახვლედიანს, აკაკი შანიძეს, ანდრია რაზმაძეს, იოსებ ყიფშიძესა და სხვებს.

უნივერსიტეტში თავდაპირველად მხოლოდ ერთი — სიბრძნის მეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტი იყო, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა განისაზღვრებოდა 18 კაცით.

1919 წელს უნივერსიტეტს დაემატა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, სამკურნალო და აგრონომიული ფაკულტეტები.

ახალი ერა ქართული უნივერსიტეტის ისტორიაში 1921 წლის თებერვლიდან დაიწყო, როცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მას ფართო გზა გაუხსნა განვითარებისათვის.

1922 წელს ჩამოყალიბდა პოლიტექნიკური და სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტები. ამავე წელს მოხდა ქართული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაამთავრა 28 ახალგაზრდამ. მათ შორის იყვნენ შემდეგში სახელმოხვეჭილი მეცნიერები შ. ამირანაშვილი, ვ. თოფურია, ნ. კეცხოველი, ს. ჯანაშია, კ. ბაქრაძე და სხვანი.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გეგმა, ცხოვრებამ მოითხოვა მრავალფეროვანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა, იყო თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ეს იყო 1928 წელს. უფრო მოგვიანებით უნივერსიტეტს გამოეყო აგრონომიული და სამკურნალო ფაკულტეტები, რომლებიც გადაქცეთდნენ სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ინსტიტუტებად.

უნივერსიტეტში მეცნიერული მუშაობის მიღწევები იმდენად დიდი იყო, რომ 1933 წლიდან აქ დაარსდა რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ასეთები იყო მათემატიკის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ენის, ლიტერატურის, ფიზიოლოგიის, ხელოვნებისა და ისტორიის ინსტიტუტები. სწორედ მათ ბაზაზე 1941 წელს შეიქმნა ქართული მეცნიერების უდიდესი კერა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სადაც პირველ თხუთმეტ დამფუძნებელ აკადემიკოსთა შორის 13 უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

უნივერსიტეტის კათედრებმა და ფაკულტეტებმა დიდად შეუწყეს ხელი პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსებას თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ცხინვალში, ბათუმში, გორსა და თელავში.

უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა მთელ რიგ მეცნიერულ სკოლებს. მთელ მსოფლიოში ცნობილია ქართული მათემატიკური სკოლა აკად. ნ. მუსხელიშვილის მეთაურობით, აკად. ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიური სკოლა, ქართული ენათმეცნიერული სკოლა პროფ. ა. შანიძისა და გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. საერთო აღიარება ჰპოვა ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილმა ისტორიკოსთა სკოლამ.

ცოდნის ტაძარი

ამჟამად თბილისის უნივერსიტეტში მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამი ნამდვილი წევრი (ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ი. ბერიტაშვილი) და ოთხი წევრ-კორესპონდენტი (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი და შ. ამირანაშვილი).

უნივერსიტეტის პროფესორებიდან 27 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, 14 წევრ-კორესპონდენტი, 60-ს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ექვსი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, 3 კი ლენინური პრემიისა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად 13 ფაკულტეტია: მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, კიბერნეტიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფია - გეოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ფილოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ეკონომიური და იურიდიული სწავლება მიმდინარეობს დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

უნივერსიტეტში 13 ათასზე მეტი სტუდენტი ეუფლება მეცნიერების სხვადასხვა დარგს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ამჟამად წიგნის საერთო ფონდი 2,5 მილიონ ტომს აღემატება.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა და სტამბა.

უნივერსიტეტში ნაყოფიერად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც აერთიანებს 1.500 სტუდენტს. მათს მუშაობას ხელმძღვანელობენ გამოცდილი პროფესორები.

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ყოველწლიურად მართავს მრავალ თემატურ კონფერენციას და საღისკუსიო სხდომებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი კლუბი, რომელიც აერთიანებს 600-მდე სტუდენტსა და თანამშრომელს. უნივერსიტეტში არსებობს სიმფონიური ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, ქორეოგრაფიული ანსამბლი, საესტრადო ორკესტრი და სხვ.

უნივერსიტეტში რაიონიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის სტუდენტთა ქალაქში გამოყოფილი აქვთ კორპუსი. კეთილმოწყობილ ოთახებში ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი მეცადინეობისათვის.





რჟაღღიანი ეპოჰეის გმირი

ძველმა რკინიგზელმა საოჯახო სურათების დასტიდან ფრონტული რელიკვია ამოარჩია და გადმომაწოდა. იგი დათარიღებულია 1942 წლის 7 თებერვლით და შემკობილია მინაწერით: „სახსოვრად ძვირფას სამშობლოს. შალიკოსაგან“.

— 26 წლის სურათია, — დასძინა წარწერის ავტორმა და გაიხსენა: იგი ჯავშნოსანი მატარებლის მოტაცების შემდეგ არის გადაღებული.

ფრონტული ეპოპეის ამსახველი მასალები შეკრიბეს დონის როსტოვის რკინიგზელის კულტურის სახლის რევოლუციური წარსულისა და შრომითი დიდების მუზეუმის მუშაკებმა. ვიდრე ეს ფოტოსურათი დონის პირა ქალაქში მოხვდებოდა, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ იქ შეადგინეს ახალი სტენდი, რომელიც ასახავდა ჯავშნოსანი მატარებლის უფროსი მემანქანის ლეგენდარულ გმირობას. მისმა თავდადებამ განაცვიფრა არა მარტო როსტოველი მოსახლეობა, არამედ იმ ხანად იქ მოთარეშე ფაშისტი დამპყრობლებიც. დიდი სისხლის ფასად ხელში ჩაგდებული შემადგენლობა მათ თვალწინ სტოვებდა ლიანდაგს და შარშანდელი თოვლივით ქრებოდა. მატარებელი გაუჩინარდა...

— სასწაულია! — ამბობდნენ ჰიტლერელი ოფიცრები, მაგრამ უკვე გვიან იყო... ერთი უფროსი სერჟანტის ხერხმა აჯობა თავით ფეხთამდე შეიარაღებული ფაშისტების ღონეს. გამომზეურებული მასალები როსტოველებს მოუთხრობდნენ საბჭოთა ჯავშნოსნის მოტაცების ისტორიას, მაგრამ ნაამბობს აკლდა მთავარი: ვინ იყო ჯავშნოსნის უფროსი მემანქანე? დაიღუპა თუ დღეგრძელობს დღესაც? ძველი შემართების მოწმე რკინიგზელებმა ამ შავგვრემანი გამხდარი კაცის გვარი და სახელი არ იცოდნენ. ისინი ყველა საშუალებით ცდილობდნენ ეპოვნათ და მუზეუმის დამთვალიერებელთათვის წარედგინათ მისი ვაჟკაცური სახე.

სტენდი სრულყო და გაამდიდრა უბრალო ცხოვრებისეულმა შემთხვევამ. რამდენიმე წლის წინათ მოსკოვის ტელევიზიამ რკინიგზელის საკავშირო დღეს გადაცემა თბილისიდანაც მიუძღვნა. ახალი ამბების ესტაფეტაში მაყურებელმა გაიცნო მრავალი მოწინავე ქართველი რკინიგზელი. მათი გამოსვლა გულმოდგინედ მოისმინეს როსტოველებმაც. იქაური ტრანსპორტელები განსაკუთრებით აღელვა თბილისელი რკინიგზელის შალვა წიქარიშვილის ნაამბობმა.

ცოცხალი ყოფილა! — დაასკვნეს მსმენელებმა და ბარათები გამოგზავნეს თბილისის სალოკომოტივო დეპოში. ერთი წერილის ავტორი მ. ლოგინოვი მოკლედ და ლაკონიურად იტყობინებოდა: 1941 წელს საბჭოთა მეომარმა ფაშისტების ცხვირწინ გაიტაცა ჯავშნიანი მატარებელი და, როგორც ტელეგადაცემიდან გავიგეთ, ეს გმირობა თქვენს მემანქანეს შალვა სიმონის-ძე წიქარიშვილს ჩაუდენია. მუზეუმის საბჭოს სახელით იგი სთხოვს თბილისის დეპოს პარტიულ კომიტეტს კავშირი დაამყარებინონ ყოფილ ფრონტელთან, რათა თავისი მოგონება და დამატებითი მასალები გაუგზავნოს მუზეუმს. დაინტერესებულმა როსტოველებმა მალე შეიტყეს, რომ შალვა წიქარიშვილი ძველი ტრანსპორტელია. დიდ სამამულო ომამდე და მას შემდეგაც ერთგულად ემსახურება რკინიგზას. უბრალო ზეინკალი ალალი შრომით ორთქლმავლის, თბომავლისა და ელმავლის საუკეთესო მემანქანე გახდა. ოცდაათიოდე წლის წინათ შ. წიქარიშვილმა კახეთის შტოზე პირველმა შემოიღო მძიმეწონიანი მატარებლების რეისები და თვითეული მგზავრობის დროს ნორმის ზევით 200 ტონით მეტი ტვირთი გადაჰქონდა. ტრანსპორტზე ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში მან 25-ზე მეტი ახალგაზრდა მოამზადა და გამოიყვანა ცხოვრების ფართო გზაზე. ისინი ახლა ამიერკავკასიის რკინიგზის სხვადასხვა უბნებზე ელმავლებსა და თბომავლებს დააკროლებენ, მათი დამაოსტატებელი კი ამჟამად თბომავლის მემანქანედ მუშაობს სადგურ ლილოში.

როგორ მოხდა ჯავშნოსნის მოტაცება? — ჩვენ ვკითხეთ

ზაფხულში... გავშვებისათვის

ზაფხულის პერიოდში საქართველოს პროფკავშირები ხსნიან ასზე მეტ პიონერულ ბანაკს მთის კურორტებზე და შავი ზღვის სანაპიროზე. აქ დაისვენებს და ჯანმრთელობას გაიმაგრებს 66 ათასზე მეტი ბავშვი. ამ საქმეზე პროფკავშირები დახარჯავენ 2,8 მილიონ მანეთს.

უფროსკლასელთათვის ბათუმში, ატენში, ბაკურიანში, ტაბისკარში, საგურამოში, ბარისახოსა და ბახმაროში გაიხსნება სასპორტო-გამაჯანსაღებელი ბანაკები, რომლებშიც დაისვენებს 3.200 კაცი. 1.030 ბავშვი გაიგზავნება სანატორიუმის ტიპის პიონერთა ბანაკებში. პროფკავშირები ზრუნავენ იმ ბავშვებისათვის, რომლებიც საზაფხულო არდადეგების დროს ვერ წავლენ ქალაქებიდან. მათთვის თბილისის, ჭუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ჭიათურის, გორის, ფოთის, სამტრედიის პარკებში გაიხსნება საქალაქო პიონერული ბანაკები, სადაც ზაფხულს გაატარებს 6 ათასზე მეტი ბავშვი.

პიონერთა ბანაკებს შეემატა ახალი შენობები. პროფკავშირებმა საკუთარი სახსრებით ააშენეს სამძილე კორპუსები ჩათახში — 200 ადგილი, კოჯორში — 120 ადგილი.

რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ ზაფხულში უსასყიდლოდ მისცა პროფკავშირებს ბათუმის, ატენის, საგურამოს, ტაბისკარის, ბარისახოს, გორდის, მესტიის და ახალქალაქის სკოლა-ინტერნატების, აგრეთვე საკურორტო ადგილებში მთელი რიგი სკოლების შენობები.

ფრანგები ჭაიკითხავენ

პოეტმა და მთარგმნელმა **ტატიანა ავალიანმა** ფრანგულ ენაზე თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველაზე ცნობილი ლექსები — „მერანი“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ჩემი ლოცვა“, „ჩინარი“, „ლურჯსა ფერს“, „სულო ბოროტო“, „ჩემს ბაღში“, „ჩონგური“, „საყურე“.

— ეს ჩემი საჩუქარი იქნება გენიალური პოეტის იუბილესათვის, — ამბობს ტატიანა ავალიანი.

ტატიანა ავალიანი ცნობილია, როგორც „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ მთარგმნელი ფრანგულ ენაზე. პარიზის გალიმარის გამომცემლობამ აღნიშნა მისი თარგმანების დიდი მუსიკალობა და სინატიფე. როცა ქართულ კლასიკოსთა ლექსების ავალიანისეულ თარგმანს კითხულობ, ხვდები, რომ თარგმანები რეცენზენტები, გრძნობ ორიგინალის ნაზ ლირიზმსა და ძალას.

პარიზის „ფრანგულ გამომცემლობათა გაერთიანების“ დირექტორმა მადლიერ ბროშურა, რომელიც ორჯერ იყო თბილისში, აგრეთვე მაღალი შეფასება მისცა ავალიანის ნამუშევარს. მან აღნიშნა, რომ თარგმანები შესრულებულია საუცხოო კლასიკური სტილით და დაცულია ორიგინალების რითმა, რიტმი და ზომა.

ტელევიზია... საგლინავ დგანზე

რუსთავი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კავშირგაბმულობის საამქროს მუშაკებმა სამრეწველო ტელევიზიის ახალი ტექნოლოგიური დანადგარი დაამონტაჟეს „900“ მილნამზადის დგანის პულტზე.

ვიდეოსაკონტროლო მოწყობილობა (ტელევიზორი) დადგმულია ოპერატორის სამუშაო ადგილზე, ხოლო ტელეკამერა — დგანის მაცივრების თავზე.

წინათ მილის ცხელი ნამზადების მოძრაობას

როლგანგებზე თვალყურს ადევნებდა ხუთი ოპერატორი. ახლა მათ ფუნქციებს ასრულებს „ტელეთვალი“. საკმარისია ერთი ოპერატორი, რომელიც ტელევიზორით ადევნებს თვალყურს ნამზადების გავლის პროცესს. დანარჩენი ოთხი ოპერატორი გამოყენებულია სხვა სამუშაოებზე.

კავშირგაბმულობის საამქრომ გადაწყვიტა წლის ბოლომდე სამრეწველო სატელევიზიო დანადგარები დააყენოს დანარჩენ საგლინავ დგანებზეც.

არა მარტო ფრონტული ეპოპეის უშუალო მონაწილეს, არამედ ჯავშნოსან მატარებელთა მე-7 დივიზიონის სხვა მეომრებსაც, რომლებსაც კარგად ახსოვთ 1941 წლის ნოემბრის მძიმე დღეები. 20 ნოემბერს მტერმა საარტილერიო მომზადება გაუთენებლივ დაიწყო. ზარბაზნების ზალპებს ქვეითი ჯარის იერიში მოჰყვა. თვითეულ საბჭოთა მეომარზე ფრონტის ამ უბანზე 10 ჰიტლერელი მოდიოდა. მძაფებულ ურდოებს ჩვენები მედგრად იგერიებდნენ. მტრისათვის მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა როსტოვის ყოველი ქუჩა და სახლი. მოწინააღმდეგის არტილერიამ და ქვეითმა ჯარმა წარმატებას რომ ვერ მიაღწიეს, ტანკები და ავიაცია დაიხმარეს. სვასტიკიანი მანქანები გრუხუნით მოადგნენ რკინიგზის სადგურს. ჯავშნიანმა მატარებელმა მათ გამანადგურებელი ცეცხლი შეაგება. იწვოდა ჰიტლერელთა ტექნიკა. სადგურის მისადგომები ტანკებისა და სხვა მანქანების სასაფლაოდ გადაიქცა. მოიერიშეებმა მაშველი ძალებიც მიიღეს და მხოლოდ დიდი ზარალის ფასად მოახერხეს სადგურის მიდამოების დაკავება. ჯავშნოსანი მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა. მისი პირადი შემადგენლობა ქვეითებს შეუერთდა. მძიმე ბრძოლით ალყა გაარღვიეს და თავდაცვის ახალ ზღუდეზე გადაინაცვლეს. შალვა სროლას განაგრძობდა...

დაიცალა უკანასკნელი ჭურვი.

— შექმნილ ვითარებაში ჯავშნოსნის დახსნა შეუძლებელი იყო! — მოახსენეს ფრონტის სარდლობას ფაშისტთა ალყას თავდაღწეულმა მეომრებმა.

მტრის გარემოცვაში მოქცეული შალვა წიქარიშვილიც ასე ფიქრობდა დროებითი წარუმატებლობის პირველ დღეს. მაგრამ მალე დაწყნარდა, ძალღონე, გონება მოიკრიბა და თავდაღწევის გეგმა შეადგინა. მარტო თავისი კი არა, ჯავშნიანი მატარებლის ხსნისაც!

მოფიქრებულის ფრთაშესხმის ორი გამოსავალი ესახებოდა: ჯავშნიანი მატარებლის აფეთქება ან მტრის ბრჭყალებიდან დახსნა. შალვა წიქარიშვილმა მეორე, უფრო სახიფათო გზა აირჩია. ამ მიზნით როსტოველ პარტიზანებს დაუკავშირდა. მათი დახმარებით სამოქალაქო ორთქლმავლის ჯიხურში მოიკალათა და სადგურიდან გასასვლელი გზის წინასწარ დასაზვერად გაეშურა. მემანქანე გ. პოპოვმა კვალზე ნელნელა მიაყოლა ჯავშნიანი მატარებელი და შეთანხმების შესაბამისად შალვამ სემაფორთან გაჩერების სიგნალი მისცა. უფროსი მემანქანე ორთქლმავლიდან ჩამოვიდა, მეისრის ჯიხურში შევიდა და სადგურის მორიგეს ტელეფონით დაელაპარაკა.

— გზა მომეცით, მატარებელი მომყავს! — ჩასძახა ყურმილში.

— სამორიგეო ოთახი გერმანელებმა დაიკავეს, — აკანკალებული ხმით უპასუხა ვიღაცა ქალმა და იმ წუთიდან სატელეფონო კავშირი შეწყდა...

უკუნითი ღამე ჩამოწვა მტრის მიერ აღებულ სადგურზე. სამოქალაქო ორთქლმავალი მაინც წინ მიიწევს, თითქოს „ფანდაზად“ დაჰგებია ფოლადის გზა. ფაშისტებმა სროლა აუტეხეს ორთქლმავალსა და მატარებელს. არც უფროს მემანქანე შ. წიქარაშვილსა და მის თანამებრძოლ გ. პოპოვს ეძინათ. დროგამოშვებით კაკანებდნენ მათი ტყვიამფრქვევები. როგორც იქნა დონზე გადებულ ხიდს მიაღწიეს. აქაც უმტყუნა ბედმა. ხიდის ყურე ტრაქტორს ჩაეხვრგა. როგორც იყო, რკინიგზელების დახმარებით ხაზი გაათავისუფლეს. მზვერავი ორთქლმავალი უკან დაბრუნდა, ჯავშნიანი მატარებელი გამოიბა და სამშვიდობოზე გასასვლელად დაიძრა. ხიდის ყურესთან ფაშისტთა სატანკო კოლონა გამოჩნდა და მისმა ძლიერმა ცეცხლმა შემადგენლობა დააზიანა. მატარებელი გაჩერდა. ამასობაში ინათა კიდეც და... ოპერაცია ჩაიშალა.

შალვამ რჩევისათვის დალნევოსტოჩნაიას ქუჩაზე მცხოვრებ ნაცნობ პატრიოტს მარიამ ანდრიას ასულს (გვარი არ ახსოვს) მიაკითხა. მის ბინაზე დაიბადა მწყობრიდან გამოსული ჯავშნოსნის შეკეთებისა და მოტაცების ახალი გეგმა. უფროსმა მემანქანემ სამხედრო ფორმა რკინიგზელის ტანსაცმლით შეიცვალა. პარტიზანებიც მხარში ამოუდგნენ. მათი რჩევით სანდო რკინიგზელებმა ჯავშნოსანი ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის მიყრუებულ ჩიხში გადაიტანეს.

— უვარგისი და მწყობრიდან გამოსულია! — მოახსენეს უფროსებს. ამავე დროს ფარულად, უხმაუროდ შეაკეთეს ორთქლმავალი.

დრო შალვასა და მისი მეგობრების სასარგებლოდ მუშაობდა. იმხანად საბჭოთა არმიის ნაწილები კონტრშეტევისათვის ემზადებოდნენ. განსაცდელში შალვას ჩავარდნის 8 დღის შემდეგ უკვე შორს მოისმოდა საბჭოთა არტილერიის ჭურვების აფეთქების ხმა და აი პატრიოტების შემწეობით ჯავშნოსან მატარებელს „მწვანე ქუჩა“ გაეხსნა დღისით-მზისით. ვიდრე შემადგენლობამ დიდი ხიდი უკან არ ჩამოიტოვა, ფაშისტი ყარაულები აზრზე ვერ მოვიდნენ, რა მოხდა და ვის მატარებელს აცილებდნენ წინააღმდეგობის გაუწევლად. გერმანელებმა ჯავშნოსანს სროლა აუტეხეს, მაგრამ იგი უკვე სამშვიდობოს იყო გასული. კიდევ ცოტა ხანიც, და შალვა წიქარიშვილმა მოტაცებული მატარებელი საბჭოთა ჯარების განლაგებაში შეაგრიალა...

შალვა წიქარიშვილს, — დაადასტურა მე-7 დივიზიონის მზვერავ-მებრძოლმა იოსებ ზარაფიშვილმა, — არავისგან არ მიუღია ბრძანება ჯავშნოსნის მოტაცების შესახებ. დივიზიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი ქმაკინი იმ დროს მძიმექვემეხიან ჯავშანმატარებელს მეთაურობდა და ბრძოლით იკაფავდა გზას თაღოვანი ხიდისაკენ. შტაბის უფროსი კაპიტანი ივანენკო, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა დივიზიონის საბრძოლო ოპერაციებსა და გეგმაშეწონილ უკანდახევას, ფაშისტმა მეავტომატემ დაჭრა და იგი ჩვენს ვაგონში დავაწვინეთ. მისი დამჭრელი ჰიტლერელი მეავტომატე იქვე მოკლა როსტოვის დეპოს უფროსმა თუ მისმა მოადგილემ. ქვეგანაყოფი უმეთაუროდ დარჩა. ასე რომ ჯავშნოსნის მოტაცება შალვა წიქარიშვილმა თავისი ინიციატივით გადაწყვიტა და მოახერხა კიდეც. რაოდენ დიდი სიხარულით განვიმსჭვალეთ, როცა 28 ნოემბერს როსტოვს ვუტევდით და შალვა წიქარიშვილმა ჯავშნოსანი მატარებელი შემოგვიერთა.

კვლავ მწყობრში ჩადგა უგზოუკვლოდ დაკარგული ჯავშნოსანი! ასე დამთავრდა ფრონტული სინამდვილე, რომელიც ერთი შეხედვით არაკს, ლეგენდას ჰგავს.

შესაძლოა ამის გამო გადაეხვია შალვა წიქარიშვილს დივიზიონის მეთაური მხურვალედ და გულწრფელად. მამობრივი სიყვარულით გადაკოცნა ხელქვეითი და საბრძოლო ჯილდოზე წარადგინა.

რა მოხდა ჯავშნოსნის დაბრუნების შემდეგ? უფროს სერჟანტ შალვა წიქარიშვილს საზეიმო ვითარებაში გადასცეს მედალი „მამაცობისათვის“ და მწყობრის წინაშე მადლობა გამოუცხადეს. დააკომპლექტეს მატარებლის ახალი პირადი შემადგენლობა. ძველებიდან მარტო მისი გადამრჩენი უფროსი მემანქანე მოხვდა. ჯავშნოსანმა კვლავ მონაწილეობა მიიღო საბრძოლო ოპერაციებში, წვლილი შეიტანა ფაშისტური სიბილწისაგან დონის განთავისუფლებაში და დიდხანს სდია უკანდახეულ მტერს. ჟლიტა ჰიტლერელები, მოუსპო მათ დიდძალი ტექნიკა და საჭურველი. ერთ-ერთი ცხარე შეტაკებისას შ. წიქარიშვილი მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მოათავსეს. გამოჯანმრთელების შემდეგ კი ზურგში სჯედდა გამარჯვების დღის მოახლოებას.

ნომარმა ვაჟკაცმა ფრონტული სურათები და მოგონება გაუგზავნა მისი ბედით დაინტერესებულ ადამიანებს. გმირობის კვალი არ მოიშალა. მისმა სახელმა და საბრძოლო სიმამაცემ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის დონის როსტოვის საბრძოლო დიდების მუზეუმშიც. მიღებული მასალები ამ მუზეუმსაც ვუწილადეთო, როსტოვიდან შეატყობინეს რვადღიანი ეპოპეის გმირს და ვეტერან რკინიგზელს. ეძებეს, იპოვნეს, დააფასეს მისი ძველი შემართება.

ი. ჯავახიშვილი.

* * *



სურათზე: შალვა წიქარიშვილი (მარჯვნიდან პირველი) 1942 წელს ფრონტელ მეგობრებთან ერთად.

ფოტო დ. სამხარაძისა.

ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲔᲒᲚᲘ



ქ. ფოთში გაიხსნა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა დიდების ძეგლი, რომლის ავტორია რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲒᲐᲖᲐᲜᲔᲑᲘ

წყალტუბო. პირველი მაისიდან ძალაში შევიდა ახალი საზაფხულო სეზონი კურორტ წყალტუბოში. დამსვენებელთა დიდი უმრავლესობა კურორტზე მოდის მაისიდან ნოემბრამდე. ეს გაითვალისწინა კურორტის ხელმძღვანელობამ და შეაკეთა თითქმის ყველა სანატორიუმი და სააბაზანო, პოლიკლინიკა და სხვა სამკურნალო დაწესებულებები. სეზონისათვის ყოველმხრივ მოემზადა თხუთმეტივე სანატორიუმი და 9 სააბაზანო, რომლებიც დღეში 7 ათასზე მეტ ავადმყოფს გაატარებენ.

მშენებლობა-კეთილმოწყობის სამუშაოები კურორტზე წარმატებით გრძელდება. თითქმის დამთავრებულია დენდროლოგიური პარკი, რომელმაც 10 ჰექტარი ფართობი დაიკავა. მალე დამთავრდება კურორტის „ზღვა“, სადაც ახლა კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. „ზღვის“ დასავლეთით ეწყობა სპორტული მოედნები. შენდება საცხოვრებელი სახლები, უნივერმაღი, ბაზარი, მრავალი კვების ობიექტი.

მედეა კახიძე

ჩემი მიწის სადღეგრძელო

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე
საქართველოს საოცნებო გზები,
გრძელი, როგორც ჩვენი მრავალუამიერი,
ხვავრიელი, როგორც პურის ძნები.
ვძებნე, ვძებნე, ვერ მოვძებნე
ოცნებაში დახატული მოყმე,
მინდა ვიყო თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სადღეგრძელოდ მოვკვდე.
მუმლი მუხას ეხვეოდა,
ყორანივით დაგვყიოდა მტერი,
კაფეს, კაფეს, ვერ გაჰკაფეს,
ეჭვებივით ჩახლართული ტევრი.
ლეწეს, ლეწეს, ვერ დალეწეს,
განა მართლა თავზე ჩამოგვექცა
ვარსკვლავების ჩიხტიკოპით დახურული
საქართველოს მადლიანი ზეცა.
მინდა ვიყო გმირი თინა წავკისელი,
შორის გზიდან მიყიოდეს მოყმე,
ვიყო მისთვის თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სიცოცხლისთვის მოვკვდე.

„მეცნიერებამ“ გამოსცა

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘ

მეთხუთმეტე საუკუნის ცნობილი სპარსი მწერლის ვაიზ ქაშიფის პოემა „ქილილა და დამანას“ თარგმნა დაიწყო დავით მეფემ, განაგრძო ვახტანგ მეექვსემ, საბოლოოდ კი თარგმნა სულხან-საბა ორბელიანმა. ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა პოემაში გამოიყენა ლექსის თითქმის ყველა ფორმა და ზომა და ფაქტიურად შექმნა ქართული პოეტიკის პირველი ქრესტომათია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. თოდუამ გამოიკვლია სულხან-საბა ორბელიანის თარგმანი. მონოგრაფია „ქილილა და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანისეული ვერსია“ გამოუშვა გამომცემლობა „მეცნიერებამ“.

თავის წიგნში მ. თოდუა დაწვრილებით განიხილავს პოემის სხვადასხვა ვარიანტს. კერძოდ, პირველად ეხება აღმოსავლეთის დიდი პოეტის ნიზამი განჯელის ნაწარმოებს, როგორც „ქილილა და დამანას“ თავისებურ და მეცნიერებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ვერსიას. მეცნიერის აზრით ნიზამის პოემას საფუძვლად უდევს იბნ ალ-მუკაფის პოემის არაბული ვერსია.

როგორც ცნობილია, ქაშიფის პოემა გალექსა აგრეთვე სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ფუძემდებელმა რუდაქიმ. მაგრამ პოემის ამ ვარიანტიდან, ისევე როგორც სხვა მისი ნაწარმოებებიდან, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ფრანგმენტებმა.

როგორც ჩანს, მეფე ვახტანგ მეექვსეს ქონდა „ქილილა და დამანას“ სპარსული ორიგინალის ერთ-ერთი საუკეთესო ნუსხა. მისი თარგმანი ეხმარება მეცნიერებას გაითვალისწინოს ის უხეში შეცდომები, რომლებიც დაშვებულია სპარსული ლიტერატურის ამ ძეგლის საუკეთესო გამოცემებში, რადგან კრიტიკული ტექსტი ჯერჯერობით არ არსებობს.

„ქილილას“ ცნობილ ქართულ ვერსიებში მ. თოდუამ პირველად შეიტანა კიდევ ერთი „ანონიმური“ — მეექვსე ვერსია, რომელიც ნაპოვნია ქართულ ხელნაწერებში. მეცნიერს მიაჩნია, რომ იგი XVIII საუკუნეს ეკუთვნის.

„საბჭოთა საქართველო“ გამოსცა

ᲐᲚᲑᲝᲛᲔᲑᲘ, ᲑᲣᲙᲚᲔᲢᲔᲑᲘ, ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘ

ზაფხული დადგომასთან ერთად იზრდება ტურისტთა ნაკადი, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან. მათთვის რესპუბლიკის გამომცემლობები უშვებენ მხატვრულ ალბომებს, ბუკლეტებს, მეგზურებს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დაბეჭდა ალბომი „როგორ ვიზარდეთ“, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა საქართველოს მიღწევებზე ეკონომიკისა და კულტურის დარგში. ტექსტის ავტორია გ. ქველაძე.

„საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა ფერადად დასურათებული ბუკლეტები „სოხუმი“, „გაგრა“, „წყალტუბო“, „ბათუმი“, „ბორჯომი“, „ქობულეთი“, „ბიჭვინთა“. მათში აღწერილია საქართველოს კურორტების სამკურნალო ფაქტორები, აგრეთვე ტურისტული და საექსკურსიო მარშრუტები. ინგლისურ ენაზე გამოშვებულია მეგზური „თბილისი“, რომელსაც დართული აქვს საქართველოს დედაქალაქის და მისი ღირსშესანიშნავი ადგილების სქემა. მეგზურის ავტორია გ. ვახვრამიშვილი. ინგლისურ ენაზე გამოდის ბუკლეტი „სოხუმი“.

ტურისტები მიიღებენ საქართველოს ხედების ალბომ-სუვენირს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიული სუვენირების ლაბორატორიამ გამოსცა ღია ბარათების ალბომი „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო“ და „თბილისი“. გამოვიდა პანორამული ღია ბარათები „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო“. 30 ღია ბარათისაგან შემდგარ ალბომს დართული აქვს შავი ზღვის სანაპიროს სქემა და მოკლე ნარკვევი.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მოამზადა ნარკვევ-მეგზურები „თბილისი-ჭუთაისი-ფოთი-ბათუმი“ და „თბილისი-ჭუთაისი-სოხუმი-ლესელიძე“, რომლებსაც დართული ექნება ფოტოსურათები, მარშრუტის სქემები, საცნობარო მასალა. პროფესორმა პ. ზაქარაიამ დაწერა მეგზური „საქართველოს სამხედრო გზა“, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები. წიგნი უხვად იქნება დასურათებული.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლიტერატურის გამოცემას სვანეთის შესახებ, რომელიც ძლიერ იზიდავს ტურისტებს. სვანეთზე გადის მთელი რიგი საკავშირო ტურისტული მარშრუტები. „საბჭოთა საქართველო“ უშვებს დიდ მხატვრულ ალბომს „სვანეთი“, რომლის ავტორ-შემდგენელია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი გ. სოხაშვილი. ალბომში იქნება ბევრი ილუსტრაცია, აგრეთვე მონოგრაფიები ქართულ და რუსულ ენებზე. გარდა ამისა, გამოვა ზომო და ქვემო სვანეთის ბუკლეტ-მეგზური.

ქართველი მეცნიერი იკვლევს...

რა იწვევს კიბოს დაავადებას? ეს საკითხი დიდი მნიშვნელობა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. მეცნიერები სწავლობენ კიბოს გამომწვევ მიზეზებს, აწარმოებენ მრავალრიცხოვან ექსპერიმენტებს, მსჯელობენ სიმპოზიუმებსა და ყრილობებზე, დიდ ინტერესს იჩენენ ამ საკითხის კვლევაში მიღებული შედეგებისადმი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტული კიბოს კვლევის ლაბორატორიის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა შორისაც. ქართველ ონკოლოგთა მიღწევებზე სტატიები გამოქვეყნდა ვაშინგტონის, ნიუ-იორკის, პიტსბურგის, სტოკჰოლმისა და სხვა ქალაქების სამეცნიერო ჟურნალებსა და გაზეთებში.

ონკოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული კიბოს კვლევის ლაბორატორიის უფროსის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გიორგი გიორგაძის** სახელზე მოდის მრავალი წერილი მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან, სადაც ჩვენს მეცნიერს სთხოვენ დაწვრილებით აცნობოს ექსპერიმენტების შედეგები.

— რამ გამოიწვია ასეთი დიდი ინტერესი? რა შედეგები მიიღეს ქართველმა მეცნიერებმა?

ამ კითხვებით მივმართე პროფესორ **გ. გიორგაძეს.**

— ჩვენ შევისწავლით კიბოს გამომწვევ მიზეზებს საერთოდ, — გვითხრა პროფესორმა გ. გიორგაძემ, — კერძოდ გაგაცნობთ იმ გამოკვლევას, რომელმაც გამოიწვია საყოველთაო ინტერესი. იგი შეეხება ფილტვების კიბოს განვითარებაში თამბაქოს წევის როლს. ეს პრობლემა იმდენად აქტიურია, რომ მას მიეძღვნა სპეციალური საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც გაიმართა გასულ წელს ვენაში.

კლინიკური და სტატისტიკური მონაცემებით დამტკიცებულია, რომ ფილტვების კიბოს ხშირი შემთხვევები უკანასკნელ წლებში ძირითადად გამოწვეულია თამბაქოს წევის გავრცელებითა და მოწეული თამბაქოს რაოდენობის გადიდებით. მეცნიერები მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევებით ცდილობენ შეესწავლათ თამბაქოს წევის შედეგად მიღებული პროდუქტების უნარი გამოეწვიათ კანის კიბო ცხოველებში, მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ მიღებული შედეგების არაერთგვაროვნებაზე, ასეთი სახის ექსპერიმენტები მაინც ვერ უპასუხებენ დასმულ კითხვას, რადგან ცხოველის კანი არ არის ადეკვატური ადამიანის სასუნთქი გზების ლორწოვანისა. გრძნობდნენ რა ამ შეუსაბამობას, ერთეულმა მეცნიერებმა შექმნეს სპეციალური რთული აპარატურა, რომლის საშუალებით თამბაქოს ბოლი შეჰყავდათ კურდღლის სასუნთქ გზებში, მაგრამ წევის ზუსტ იმიტაციას მაინც ვერ იღებდნენ, თამბაქოს ბოლი პირდაპირ არ აღწევდა სასუნთქ გზებს, იგი ჰაერის გავლენით განიცდიდა ცვლილებებს.

ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდებით ცხოველის სასუნთქ გზებში პირდაპირ შეგვყავს თამბაქოს ბოლი. ამისათვის ცხოველს პირზე აფარებენ ნიღაბს, რომელშიც არის ორი ნასვრეტი, ერთში თავსდება ცეცხლმოკიდებული სიგარეტი, მეორე კი განკუთვნილია ჰაერის ვენტილაციისათვის. სიგარეტიდან კვამლის ჩასუნთქვისას ცხოველი შეისუნთქავს ჰაერთან ერთად პაპიროსის ბოლს, ასე რომ მიიღება პაპიროსის წევის სრული იმიტაცია. ასეთმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა შესწავლილ იქნას თამბაქოს კვამლის გავლენა ლორწოვანზე თამბაქოს კვამლის ცვლილებების გარეშე.

...აი თამბაქოს მწეველი ცხოველებიც. ლაბორატორიის გალიებში კურდღლებს და მაიმუნებს პირზე ნიღბები აქვთ აფარებული და თვალებმინაბულნი სწევენ პაპიროსს.

პირველად უჭირდათ თურმე კურდღლებს პაპიროსის ბოლთან შეგუება, მაგრამ თანდათანობით მიეჩვივნენ, მათ ხომ ერთსა და იმავე საათზე აძლევდნენ თუთუნს. საცდელი ცხოველები ოთხი, ოთხნახევარი წლის შემდეგ ფილტვებში პათოლოგიური ცვლილებების შედეგად იღუპებოდნენ.

ლაბორატორიის დათვალიერების შემდეგ კვლავ პროფესორ გიორგაძის კაბინეტში განვაგრძეთ საუბარი.

— პაპიროსის მწეველი მკვდარი კურდღლების გაჭრისას, — გვიხსნის პროფესორი, — აღმოჩნდა სასუნთქი გზების ლორწოვანი პათოლოგიური ცვლილებები. ეს ცვლილებები ხასიათდება როგორც კიბოსწინა ფაზა და შეესატყვისება სიმსივნეთა წარმოქმნის წინარე დაავადებებს. მაშასადამე, საცდელი ცხოველის ფილტვებში სიმსივნის განვითარებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ მომხდარი ცვლილებები ქმნიან ნიადაგს, რომლის ფონზე შემდგომში შესაძლებელია განვითარდეს ფილტვების კიბო.

საერთოდ დამტკიცებულია, რომ კიბო არასოდეს არ ვითარდება საღ ქსოვილებში და ისიც ერთბაშად. კიბოს ყველა შემთხვევას წინ უსწრებს გარკვეული ადგილობრივი ცვლილება, მას აქვს თავისი წინარე დაავადებები, მაგრამ განა ყოველთვის კიბოს წინარე დაავადებები გადადის კიბოში? ჩვეულებრივ საჭიროა დამატებით სხვა ბლასტომიგენური (სიმსივნის გამომწვევი) აგენტის მოქმედებაც.

ბევრი სწევს პაპიროსს, მაგრამ ყველა ავადდება კიბოთი? ისევე როგორც ბევრი ყლაპავს ჰაერიდან კოხის ჩხირებს, მაგრამ განა ყველა ავადდება ფილტვების ტუბერკულოზით. აქ მნიშვნელობა ენიჭება თვით ორგანიზმის მემკვიდრეობით თვისებებს, ორგანიზმის გარკვეულ მიდრეკილებას ამ დაავადებისადმი, აგრეთვე ცხოვრების პირობებს. ხშირი ნერვიულობა, გუნება-განწყობილების დაქვეითება, ცუდი მატერიალური პირობები მოქმედებს ადამიანის საერთო მდგომარეობაზე.

ყველა ქვეყნის მეცნიერთა კვლევის მთავარი მიზანია დაადგინონ კიბოს გამომწვევი მიზეზები და გამონახონ საშუალება ამ მძიმე დაავადებასთან საბრძოლველად.

ამჟამად კიბოს ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში პროფესორ გ. გიორგაძის ხელმძღვანელობით კვლავ აწარმოებენ ცდებს კურდღლებზე და მაიმუნებზე. მაიმუნებზე დაკვირვება უფრო საინტერესოა, რადგან მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა კურდღლებთან შედარებით რამდენჯერმე მეტია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მაიმუნების სიცოცხლის ხანგრძლივობა მათ საშუალებას მისცემს დაკვირვება აწარმოონ დაავადების წარმოქმნის პროცესებზე.

ლ. ხუგულური.

* * *







სურათზე: სამეცნიერო ჟურნალ „საიენს ნიუსი“ (1967 წ. № 12 ქ. ვაშინგტონი), სადაც დაიბეჭდა წერილი ქართველი ონკოლოგების ექსპერიმენტების შესახებ.

[-10]

ყ-20/64

დაგეძებენ, მოგელიან



გიორგი უთურაშვილი.



მიხეილ ღლონტი.

მიხეილ დიმიტრის-ძე ღლონტს, დაბადებულს 1917 წელს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში, ეძებს ძმა — ალექსანდრე დიმიტრის-ძე ღლონტი.

გიორგი (ჩიტო) იოსების-ძე უთურაშვილს, დაბადებულს 1921 წელს ჭითელწყაროს რაიონის სოფელ არგოშიკში, ეძებენ დედა — თამარო უთურაშვილი, მეუღლე — გაგული ნიკოლაიშვილი.

ვანო გიოს-ძე ნანიკაშვილს, დაბადებულს 1908 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ კოდალოში, ეძებს შვილი — ნუგზარ ვანოს-ძე ნანიკაშვილი.

გიორგი გერონტის-ძე კიკნაძეს, დაბადებულს 1908 წელს ხარაგოულში, ეძებენ დედა — ალექსანდრა, მეუღლე — თამარი, შვილები — ია და ემზარ კიკნაძეები.

გიორგი ალექსანდრეს-ძე ხვედელიძეს, დაბადებულს 1919 წელს, ეძებს მეუღლე — თამარ ხვედელიძე.

რაბი გრიგოლის-ძე რაბიშვილს, დაბადებულს 1916 წელს ქ. თბილისში, ეძებენ და რუსუდან გრიგოლის ასული კიკნაძე, მეუღლე — ელენე ძიძიგური.

ზღვის ნაპირი, როგორი იქნებაიგი?

რამდენად შეიცვლება ზღვის ნაპირის სტრუქტურა და მოხაზულობა 10-20 მეტი წლის შემდეგ? პასუხს ამ კითხვაზე დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის. ექნებათ რა თავიანთ განკარგულებაში ზღვის სანაპირო ხაზის შეცვლის პროგნოზები, სპეციალისტები უკეთ და უფრო რაციონალურად დაგეგმავენ ზღვისპირა კურორტების და დასვენების ზონების, ნავსადგურების, სხვა ნაგებობათა განლაგებას, მიიღებენ ზომებს ზღვის ნაპირის ჩამორეცხვის თავიდან ასაცილებლად. მდინარის აუზების სამრეწველო გამოყენების შედეგად რამდენადმე დაირღვა მდინარეების ნორმალური ჩანადენი ზღვაში. მეტ წილ წყლის არტერიებზე, რომლებიც შავ ზღვას ერთვიან, აგებულია მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები და კაშხალიანი ჰიდროკვანძები, სხვადასხვა დასახლებული პუნქტისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დასაცავი სხვადასხვა ნაგებობა მარილებისა და ნიაღვრების მოქმედებისაგან. ასეთი დაბრკოლებები ხელს უშლიან ზღვაში ჩამორეცხილი მთის ქანების, ინერტული მასალების გატანას. სწორედ ამიტომ ზღვის სანაპიროს ხაზის შეცვლის, განსაკუთრებით მოუქცევლი ზღვებისა, როგორიც არის შავი ზღვაც, ზუსტი პროგნოზების შედგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შესრულდა გამოკვლევები, რომლებმაც მნიშვნელოვნად დააზუსტეს ზღვის სანაპიროების შეცვლის პროგნოზის მეთოდი. ამაზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ტ. ვოინიჩ-სიანოჟენცკმა ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომელმაც ამას წინათ დაამთავრა მუშაობა თბილისში. ქართველ მკვლევართა გარდა სესიაში მონაწილეობდნენ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულნი სპეციალისტები.

სამი დღის განმავლობაში განხილული იყო 50-ზე მეტი მოხსენება ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ინსტიტუტის დირექტორმა გ. ლომინაძემ ილაპარაკა სახალხო მეურნეობაში ქართველ ჰიდრომეტეოროლოგთა მიღწევების გამოყენებაზე. ამიერკავკასიაში ბუნებრივი სინოპტიკური მასალების სეზონების ფორმირებაზე ქარის გავლენის შესახებ ილაპარაკა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა კ. პაპანაშვილმა. სიმინდის ფესვის სისტემის განვითარებაზე ნიადაგების რეჟიმის გავლენას, ციტრუსოვანთა მოსავლის პროგნოზის მეთოდიკას და სხვა თემებს მიეძღვნა სხვა მოხსენებები.

მხატვრის დიმილი

მხიარული ალბომი

„პრავდის“ გამომცემლობამ სერიით „საბჭოთა კარიკატურის ოსტატები“ გამოუშვა საქართველოს დამსახურებული მხატვრის გიგლა ფირცხალავას ნამუშევართა რეპროდუქციების წიგნი. მასში შევიდა მხატვრის კარიკატურები, მეგობრული შარჟები, ჩანახატები და... ქანდაკებანი. დიახ, ქანდაკებანი, რადგან კარიკატურისტი გიგლა ფირცხალავა მოქანდაკეცაა.

ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა მხატვარს ეამბნა, როგორ გახდა იგი კარიკატურისტი. გ. ფირცხალავამ „სავსებით სერიოზულად“ უპასუხა, რომ დაიბადა ფოთში, ხოლო ერთი წლის შემდეგ, რადგან ფოთში არ იყო სამხატვრო აკადემია, გადმოვიდა თბილისში. მაგრამ მაინც მოუხდა საშუალო განათლების მიღება, სამხატვრო ტექნიკუმის დამთავრება. სკოლაში მოკრივეც გახდა, წავიდა ლენინგრადში ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად და... უბრძოლველად გახდა ჩემპიონი: ვერც ერთმა გუნდმა ვერ გამოიყვანა მისი მოწინააღმდეგე — როგორც ჩანს წონა 52 კილოგრამი მაშინაც დეფიციტური იყო. ამიტომ ახლა, — ამბობს იგი სიცილით, — წონა 95 კილოგრამამდე მოვიმატე.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ გ. ფირცხალავა შევიდა კინომსახიობის სკოლაში. მაგრამ მას სამხატვრო აკადემია იზიდავდა, და 1945 წელს სტუდენტი გახდა. მინდოდა ფერწერა შემესწავლა, — იგონებს მხატვარი, — მაგრამ არ მქონდა ფული საღებავების, ტილოს, ფუნჯების შესაძენად. ყველაფერი ეს არ სჭირდებოდა მოქანდაკეს. ამიტომ გიგლამ გადაწყვიტა ხელში აეღო საჭრისი, რომელიც პირველსავე დღეს აჩუქა პროფესორმა ნ. კანდელაკმა. მადლობის ნიშნად მან მასწავლებლის შარჟი დახატა.

— ასე გავხდი „შეთავსებით“ მოქანდაკე და კარიკატურისტი.

გ. ფირცხალავა ავტორია სახელგანთქმული მოჭიდავეების დ. ციმაკურიძისა და გ. კარტოზიას სკულპტურული პორტრეტებისა. ისინი ახლაც ექსპონირებულია ხოლმე სხვადასხვა გამოფენებზე.

„როცა ვუყურებთ ქართველი მხატვრის გიგლა ფირცხალავას ნახატებს, — წერს წიგნის წინასიტყვაობაში რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი ი. სემიონოვი, — ვრწმუნდებით, რომ გიგლა მოცინარი იუმორისტია, მაგრამ მის იუმორში არის დიდი საზოგადოებრივი სიმძლავრეც. მეშჩანობის ბორკილები — აი მისი მუდმივი თემა. გიგლას თემები იბადება, როგორც კარგი მხიარული ქართული სადღეგრძელოები მეგობრულ სუფრაზე. მისი სკულპტურული პორტრეტების პლასტიკურობა, ოსტატის მტკიცე ხელი, იმედს გვაძლევს, რომ კარიკატურის მისი საყვარელი ჟანრი ქანდაკებაშიც შეაღწევს, სადაც, ვფიქრობთ, შეძლებს გვიჩვენოს ახალი საინტერესო ნამუშევრები. მხატვარი შემოქმედებითი აყვავების ხანაშია, ვუსურვოთ ახალი წარმატებანი“.

... წავლენ უღელტეხილებით

შორს. მაისის დამლევს გაიხსნება გზები კავკასიონის უღელტეხილზე და ტურისტები ჩრდილოეთ კავკასიიდან წამოვლენ საქართველოში. სტუმართმოყვარე მასპინძლები მოემზადნენ მათ შესახვედრად.

შორს ტურისტულ ბაზაში ჩამოდიან მოგზაურები, რომლებიც გამოდიან გუზე-ცვიკის და მამისონის უღელტეხილებით.

ნაქნარში, რაიონის მაღალ ნაპირზე, აშენებულია 48 ოროთახიანი სახლი, კლუბის შენობა ფართოეკრანიანი კინოდანადგარით, 240-ადგილიანი სასადილო-პავილიონი, საცურაო აუზი, საცეკვაო მოედანი, ბიბლიოთეკას შეემატა წიგნები. შეძენილია კულტურული და სპორტული ინვენტარი.

ტურისტულ ბაზას ახლა შეუძლია ერთდროულად მიიღოს 320 ტურისტი.

ახალი ტურისტული მარშრუტებით

ახალი ტურისტული მარშრუტები გავიდა საქართველოში და მეზობელ მთიან რესპუბლიკებში.

თბილისში იწყება სრულიად საკავშირო მარშრუტი „საქართველო და აზერბაიჯანი“. საქართველოს დედაქალაქში ორი დღის ყოფნის შემდეგ ტურისტები ეწვევიან თელავს, ლაგოდეხს, ზაქათალას, მინგეჩაურს, ბაქოს და მოგზაურობას დაამთავრებენ იალამაის ნაპირზე. ეს მარშრუტი წელს მომსახურებას გაუწევს 2.800 კაცს.

ტურისტები, რომლებიც იმოგზაურებენ „რუსთაველის ადგილებში“, გაეცნობიან საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს, ნახავენ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს თბილისში, იყალთოში, შუამთაში, გრემში, ზედაზენში, მცხეთაში, დაათვალიერებენ ვარძიას, გელათს, ბაგრატ მეფის ტაძარს ქუთაისში. ეს მარშრუტი დამთავრდება შავი ზღვის ნაპირზე — მწვანე კონცხზე.

„დონღუზ-ორუნი“ — ასე ეწოდება ტურისტულ მარშრუტს, რომელიც გადის ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკასა და საქართველოში.

სრულიად საკავშირო მარშრუტი „ჩაჩენეთ-ინგუშეთი და საქართველო“ იწყება გროზნოში. აღმოსავლეთ კავკასიონის უღელტეხილებით ტურისტები ჩამოვლენ კახეთში, შემდეგ სამ დღეს დარჩებიან თბილისში და ბოლოს ეძვს დღეს გაატარებენ მწვანე კონცხზე.

ვიუსმინეთ საქართველოს

ვიუსმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ვისკოზა

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.